მე-10 კლასი

ნაწილი I - გრამატიკა

1. რომელ სიტყვას არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვი?

ა) შინდისი ბ) ღამურა გ) ნარცისი

2. რომელ წინადადებაშია კომპოზიტი არასწორი ფორმით?

ა) წვერულვაშიანი დევ-კაცი სუფრას უახლოვდებოდა.

ბ) სოფელ-სოფელ დადიოდა სოლომონი სამაჭანკლოდ.

გ) ფაფარაყრილი მერანი მტკვრის ნაპირებს ეხეთქებოდა.

3. რომელ წინადადებაშია სტილისტური ხარვეზი?

ა) ზაფხულობით ამ რეგიონში ძალიან ცხელა.

ბ) ზაფხულში ამ მიწების მორწყვა არხის წყლით წარმოებს.

გ) ზაფხულში აქ დიდ მოსავლს იღებენ.

ნაწილი II - ლექსიკა /ფრაზეოლოგია

4. რომელ წინადადებაშია სწორად დასმული სასვენი ნიშანი?

ა) ვაჟი, რომელმაც ეს მაჩუქა, ჩემი მეზობელია.

ბ) ვაჟი, რომელმაც ეს მაჩუქა ჩემი მეზობელია.

გ) ვაჟი რომელმაც ეს მაჩუქა, ჩემი მეზობელია.

5. რას ნიშნავს ფრაზეოლოგიზმი „ყური დაუგდო“?

ა) ყური აუწია ბ)ყურადღება მოაკლო გ)მოუსმინა

6. განმარტეთ სიტყვა „პათოსი“:

ა) აღფრთოვანება, აღტაცება ბ) სევდა და მწუხარება გ) მტკიცე გადაწყვეტილება

ნაწილი III - წაკითხულის გააზრება

ერის საუნჯე „ვეფხისტყაოსანი“

ავთანდილი გადაწყვეტს, რომ გაიპაროს უცხო მოყმის საძებნელად. ის ანდერძს ანუ წერილს უწერს მეფე როსტევანს და თხოვს შენდობასა და პატიებას.

ავთანდილი წერს:

„ვინ დამბადა, შეძლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთად,
ვინ არს ძალი უხილავი შემწედ ყოვლთა მიწიერთად,
ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს, ზის უკვდავი ღმერთი ღმერთად,
იგი გაჰხდის წამის-ყოფით ერთსა ასად, ასსა ერთად.“

.....

„ რაცა ღმერთსა გაუგია თავსა ჩემსა გარდასავლად,

გარდამხდეს და შემოვიქცე, აღარ დამრჩეს გული ავლად;

თქვენვე გნახნე მხიარულნი დიდებით და დავლა-მრავლად;

მას რა ვარგო, დიდებად და კმარის ესე ჩემად დავლად.”

7. ვის მიიჩნევს ავთანდილი დამბადებლად?

ა) როსტევანს ბ) უფალს გ) მშობელ მამას

8. რისი უნარი (ძალა) მისცა ღმერთმა ავთანდილს?

ა) მტერზე გამარჯვების ძალა ბ) გაპარვის უნარი გ) სიყვარულის უნარი

9. რა შემთხვევაში აღარ დარჩება ავთანდილს *„გული ავლად“?*

ა) როცა სატრფოს კვლავ შეხვდება;

ბ) როცა ღვთისაგან განგებული გარდახდება;

გ) როცა ტარიელს კვლავ შეხვდება;

10. ვინ იგულისხმება ნაცვალსახელში „თქვენვე“?

ა) როსტევან მეფე ბ) თინათინი გ) სრულიად არაბეთი